ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 185

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის NE-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისთვის 2012 წლის 4 ნოემბრიდან - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის (გადაწყვეტილების) მიღების მომენტისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის (პ/ნ 35001033462) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' ქვეპუნქტის, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და ფიზიკურ პირს - როზა რეხვიაშვილს (პ/ნ: 35001033462) შორის გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის N19.648.859 განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის NE-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული უძრავი ქონების სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისთვის, 2012 წლის 4 ნოემბრიდან - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის (გადაწყვეტილების) მიღების მომენტისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან როზა

რეხვიაშვილის (პ/ნ 35001033462) გათავისუფლებაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით მოწონებული, ქ. თბილისის მთავრობასა და მოქალაქე როზა რეხვიაშვილს შორის გასაფორმებელი მორიგების აქტის პროექტის შესაბამისად, იმ პირობებით, თუ მოქალაქე როზა რეხვიაშვილი (პ/ნ 35001033462) უზრუნველყოფს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის NE-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული უძრავი ქონების სარგებლობის წლიური საფასურის დავალიანების, კერძოდ - 8754.52 (რვა ათას შვიდას ორმოცდათოთხმეტი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი) ლარის 2 (ორი) წლის განმავლობაში გადახდას და ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლოში N2/13723-14 საქმეზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მოქალაქე როზა რეხვიაშვილს შორის მიმდინარე საქმისწარმოება დასრულდება მორიგებით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე